ხელშეკრულება №51
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი „6“ მარტი 2017 წელი

ერთი მხრივ, ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება შემდგომში -„შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნატალია ზაქარეიშვილის** სახით და **მეორე მხრივ, ფ/პ „რუსლან კოპლაძე“** (პ/ნ 61002010731) შემდგომში - „მიმწოდებელი“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 გვისტოს №13 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

ა) ქ. ბათუმი, ლერმონტოვისა და ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ არსებული შემსყიდველის სატვირთო ავტომობილიდან საბეჭდი ქაღალდების გადატვირთვა მიმწოდებლის სატვირთო ავტომანქანებზე და გადაზიდვა N1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,20,22,23,24,25,26,28,29,30,31,32 საბავშო ბაღებშში (მისამართები იხ. დანართი N1);

ბ) N1,2,3,4,6,7,8,9,10,11,13,14,15,16,17,18,20,22,23,24,25,26,27,28,30,31,32 საბავშვო ბაღებიდან შემსყიდველის მიერ ინვენტარიზაციის შედეგად ჩამოწერილი ინვენტარის გადატანა ადლიის დასახლებაში არსებულ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საწყობში და ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ნაგავსაყრელზე. (მისამართები იხ. დანართი N1);

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1312,50** (ათასსამასთორმეტი და 50) ლარს.

N	მომსახურების დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	ინვენტარიზაციის შედეგად ჩამოწერილი საშუალებებისა და საბეჭდი ქაღალდების გადაზიდვის მომსახურება	მარშრუტი	10	131,25	1312,50

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ ყველა ხარჯს, მათ შორის ტრანსპორტის მომსახურებისა და მუშახელის ანაზღაურებას;

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო;

3.2 ვალუტა: ეროვნული ვალუტა (ლარი);

3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, გაწეული მარშრუტების შესაბამისად, მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

3.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება;

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 გაწეული მომსახურების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

445393510

5. მომსახურების გაწევის ვადა

5.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

5. მომსახურების გაწევის ვადა

5.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში;

6. ტექნიკური პირობები:

6.1 მიმწოდებელი მომსახურებას განახორციელებს ორი სატვირთო ავტომობილით და ორი ოთხკაციანი ბრიგადით;

6.2 გადაზიდვისთვის განკუთვნილი ავტომანქანების ძარა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პარამეტრებს:

- სიგრძე - არანაკლებ 4მ;
- სიგანე - არანაკლებ 2,10მ;
- სიმაღლე -არანაკლებ 1,90მ.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია მარშრუტის (რეისის) განხორცილების დროს ძარა დატვირთოს მაქსიმალურად, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეამციროს ერთეულის ღირებულება.

6.4 ერთ მარშრუტად ჩაითვლება ხელშეკრულების 6.2 პუნქტით გათვალისწინებული პარამეტრების მქონე ავტომანქანის მაქსიმალურად დატვირთული ძარით დანიშნულების ერთი ადგილიდან დანიშნულების მეორე ადგილზე ან ადგილებზე სრულად დატვირთული ძარით ხელშეკრულებით განსაზღვრული ტვირთის გადატანა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

7.1.1 ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.1.2 მომსახურების გაწევამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისგან შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.2.2 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

7.3.1 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.4.2 გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს.

8.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაცია, მის მიერ დანიშნული წარმომადგენლ(ებ)ი.

8.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით;

10.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ის ოდენობით;

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს;

12.2 ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა.

12.3 შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

12.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის განზრახვის შესახებ.

13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. დაუძლეველი ძალა

14.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

14.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ

გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.

14.3 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე შემსყიდველს.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 20 აპრილამდე.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებლი:
ა(ა)იპ „ბათუმის საბავშო ბაღების გაერთიანება“	ფ/პ „რუსლან კოპლაძე"
მის: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ N25	მის: ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქN3;
საიდენტიფიკაცო კოდი: 445393510	საიდენტიფიკაცო კოდი: 6100 201 07 31
სახელმწიფო ხაზინა	სს „საქართველოს ბანკი “
TRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ 740737005	ა/ნ: GE 42BG 0000 000 950 892 800
----------	----------
ნატალიკ ზაქარეიშვილი	რუსლან კოპლაძე

დანართი N1

საბავშო ბაღის N	მისამართი
საბავშვო ბაღი N1	ქ. ბათუმი, ზურაბ გორგილაძის ქ N25
საბავშვო ბაღი N2	ქ. ბათუმი, ვაჟა ფშაველას ქ. N5
საბავშვო ბაღი N3	ქ. ბათუმი, ვახტანგ გორგასალის ქ. N51
საბავშვო ბაღი N4	ქ. ბათუმი, პეტრე მელიქიშვილის ქ. N8
საბავშვო ბაღი N5	ქ. ბათუმი, გიორგი მაზნიაშვილის ქ. N28
საბავშვო ბაღი N6	ქ. ბათუმი, შალვა ინასარიძის ქ. N22 ა
საბავშვო ბაღი N7	ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქ. N17
საბავშვო ბაღი N8	ქ. ბათუმი, შალვა ინასარიძის ქ. N4 ა
საბავშვო ბაღი N9	ქ. ბათუმი, ნიკო ფიროსმანის ქ. N9
საბავშვო ბაღი N10	ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქ. N14
საბავშვო ბაღი N11	ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქ. N5
საბავშვო ბაღი N12	ქ. ბათუმი, აკაკი წერეთლის ქ. N30
საბავშვო ბაღი N13	ქ. ბათუმი, ივანე ანდრონიკაშვილის ქ. N44
საბავშვო ბაღი N14	ქ. ბათუმი, ვაჟაფშავალას ქ. N83
საბავშვო ბაღი N15	ქ. ბათუმი, ილიაჭავჭავაძის ქ. N65
საბავშვო ბაღი N16	ქ. ბათუმი, ალექსანდრეპუშკინის ქ. N113
საბავშვო ბაღი N17	ქ. ბათუმი, პეტრე მელიქიშვილის ქ. N104
საბავშვო ბაღი N18	ქ. ბათუმი, ვლადიმერმაიაკოვსკის ქ. N3
საბავშვო ბაღი N20	ქ. ბათუმი, ჯემალქათამაძის ქ. N38
საბავშვო ბაღი N22	ქ. ბათუმი, თამარმეფისგამზ. I შეს. N4
საბავშვო ბაღი N23	ქ. ბათუმი, სამრეწველოუბანი, ფ.ხალვაშისგამზირი N281
საბავშვო ბაღი N24	ქ. ბათუმი, სამრეწველოუბანი, ფ.ხალვაშისგამზირი N318
საბავშვო ბაღი N25	ქ. ბათუმი, კახაბრისუბანი
საბავშვო ბაღი N26	ქ. ბათუმი, მწვანეკონცხისუბანიიბერიის ქ. N2
საბავშვო ბაღი N28	ქ. ბათუმიადლიისდასახლება, კოტეაფხაზის ქ N4
საბავშვო ბაღი N29	ქ. ბათუმი, გონიოსდასახლებაპეტრეიბერის N1
საბავშვო ბაღი N30	ქ. ბათუმი, ბათუმი, იოსებნონეშვილის ქ N 60
საბავშვო ბაღი N31	ქ. ბათუმი, გალაკტიონტაბიძის ქ. N14
საბავშვო ბაღი N32	ქ. ბათუმი, კახაბრისდასახლება, ფრიდონხალვაშის II ჩიხი